პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 149 (19591) ◆ პარასკევი, 27 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჩაი-86

ახლა ჩაის პლანტაციებში ყოველი საათი, ყოველი წუთი ძვირად ფასობს. მეორე ვეგეტაციის ჩაის ფოთოლი უხვად შემოდის, და თუ დროულად არ მოიკრეფა, დუყები გაუხეშდება, დანაკარგები იმატებს. ამიტომ ყველა მეჩაიემ უნდა იჩქაროს, დრო არ დაკარგოს, გარჯა არ დაიშუროს, რათა მეორმეტე ხუთწლედის პირველი წლის მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ და უზადოდ გადავიმუშაოთ. არადა, ივნისის მესამე დეკადაში კრეფის ტემპი შენელდა. 21 ივნისს რესპუბლიკაში მოიკრიფა 1.832 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 22 ივნისს — 1.535, 23 და 24 ივნისს შესაბამისად — 1.593 და 1.604 ტონა, ხოლო 25 ივნისს უფრო ნაკლები — 1.224 ტონა. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში კვლავ ავდარია, რაც ბევრ დაბრკოლებას უქმნის მეჩაიეებს, კოკისპირულმა წვიმამ, წყალდიდობამ, ღვარცოფმა დამატებითი სიძნელეები შეუქმნა მათ, მაგრამ ეს ვერ ამართლებს ჩვენს მეჩაიეებს. მეტი სიბეჯითე და მონდომებაა საჭირო ჩამორჩენის ოპერატიულად დაძლევისათვის.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხარისხისათვის ბრძოლა უპირველეს ამოცანად არის დასახული. ყველამ კარგად იცის, რომ წლეულს უკონდიციო და უხარისხო ნედლეულს ფაბრიკები არ გადაამუშავებენ. თითოეულმა მეჩაიემ უნდა იბრძოლოს, რომ მოკრეფილ ნედლეულში ნაზი ფოთლების შემცველობა რაც შეიძლება მეტი იყოს, რომ ქართულ ჩაის დავუბრუნოთ ძველი სახელი. ეს ყველა მეჩაიისა და უპირველეს ... — ამიტომაც გაზეთ „კომუნისტმა“ და რესპუბლიკურ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ... ფასიანი სანუკვარი, რაც მეტ დაინტერესებას იწვევს.

გავაძლიერეთ კრეფის ტემპი, გავაუმჯობესოთ ხარისხი!

ჩვენი მიმოხილვა

[illegible] ... ავ-[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

ვხედავდეთ მომხმარებელს

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის წინ

თბილისი. საგალანტერეო-სატრიკოტაჟო საწარმოო გაერთიანების თვალში საცემი ნაკლი ის არის, რომ იგი მუშაობს... საწყობისათვის და არა მომხმარებლისათვის. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო უგულებელყოფს პროდუქციის დაგეგმვისა და ნომენკლატურის საყოველთაოდ ცნობილ და ურყევ კანონებს და ყოველწლიურად უმტკიცებს გაერთიანებას თითქმის ხუთი მილიონი მანეთის ისეთი ნაწარმის გამოშვების დავალებას, რომელზეც არ არის მოთხოვნა.

თბილისის ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშამ, დეპუტატმა ნ. ლაბაჩკოვამ მრეწველობის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე გამოსვლისას მოიყვანა უყაირათობის კიდევ რამდენიმე მაგალითი. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ქარხანას აქვს გეგმა, საკმარისად არის უზრუნველყოფილი ნედლეულის ფონდებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროდუქცია არ არის განწყობილებული მომხმარებლებზე. ამიტომაც გამოდის, რომ წელს გამოსაშვებად დაგეგმილ 1310 ტონა ლურსმანს არ ჰყავს კონკრეტული აღრესატი და პროდუქცია გროვდება საამქროსა და საწყობში. თანაც ნაწარმის გორები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, აქ დღითი დღე მატულობს.

დროა ბოლო მოეღოს ზენორმატიული ნამთების როდენობის უზომო ზრდის პრაქტიკას, მოითხოვეს დეპუტატებმა. მათ განიხილეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა მრეწველობის დარგების მიხედვით. კომისიის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს მსუბუქი, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრები ბ. მაყაშვილი და თ. უჩანეიშვილი, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. ქირია, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილებათა გამგეები გ. ბოკუჩავა, ო. ყიფიანი, ნ. ლუხუტაშვილი.

ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მათი გამოსვლების ტონალობა. თუ სამეურნეო ხელმძღვანელებმა ძირითადი ყურადღება უმთავრესად გარდაქმნას, ყოველივე იმ ახალს დაუთმეს, რაც მათთვის მნიშვნელოვნად ჩანდა, საგეგმო ორგანოების წარმომადგენლები შემოიფარგლნენ ციფრებისა და ფაქტების მშრალი კონსტატაციით, რითაც შეცვალეს ცოცხალი, საგნობრივი სჯა-ბაასი წარსული შეცდომების აღმოფხვრის, საძრახისი ტენდენციების აღკვეთის გზებისა და შესაძლებლობების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ფრიად დროული აღმოჩნდა კომისიის თავმჯდომარის გ. ანჩაბაძის რეპლიკა:

— ვისი ბრალია, მაგალითად, ის, რომ რესპუბლიკაში მეტისმეტად გაიზარდა მსუბუქი მრეწველობის ობიექტების რიცხვი?

საკმარისია დავასახელოთ დარგის საწარმოები საჩხერეში, თელავში, ისინი თავის დროზე წინასწარ გაუანალიზებლად აშენეს და უკვე რამდენიმე წელია ვერ წყვეტენ სამუშაო ადგილების დაკომპლექტების საკითხს. მაშვის უნდა მოვკითხოთ დღეს შეცდომებისათვის? და ბოლოს, რატომ არაფერს ამბობს ამის შესახებ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი?

მრავალი წლის მანძილზე, ხაზგასმით აღინიშნეს დეპუტატებმა, ნორმალურად მიიჩნევდნენ გატაცებას ახალ-ახალი საწარმოების აგებით, და უკვე მოქმედი საწარმოების ინტერესებს უგულებელყოფას. თანამედროვე მანქანა-მოწყობილობის ძირითადი ნაწილი ეძლეოდა ახალ ობიექტებს, სადაც მუშაობელის დეფიციტს განიცდიდნენ. ამიტომაც გამოვიდა, რომ სახსრები დაიბარჯა, ჯეროვანი უკუგება კი არ არის.

უფრო სრულად, უფრო გააზრებულად გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები — ასეთი იყო კომისიის წევრთა გამოსვლების ლაიტმოტივი. პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოგვითითებს, რომ სწორედ ასე უნდა მივუდგეთ საქმეს.

სხდომის მონაწილეები დაინტერესდნენ: როგორ განვითარდება მრეწველობის დარგები მეთორმეტე ხუთწლედში?

ბ. მაყაშვილის გამოსვლიდან:

— რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობაში გეგმის შესრულების შეფასების მთავარი მაჩვენებელი გახდება მოგება, პროდუქციის გამოშვება სატუარალური გამოხატულებით. საგულისხმოა, რომ წარმოების მოცულობის მთელი მატება ძირითადად უნდა უზრუნველყოფთ არსებულ სიმძლავრეთა ეფექტიანი გამოყენების გზით. მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების ამოცანა გვიკარნახებს არსებითად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, უფრო მოქნილად, რეალურად - დაგეგმოთ ასორტიმენტი. კერძოდ, 1990 წლისათვის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება თითქმის მესამედით გაიზრდება. ამავე დროს ყოველწლიურად კორექტივებს შევიტანთ საწარმოო პროგრამაში სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადების გათვალისწინებით. მომდინარე ხუთწლედში დარგის სულ უფრო მეტი საწარმო გადადის თვითდაფინანსებაზე, ნაწილობრივმა ან სრულმა ტექნიკურმა განახლებამ, სოციალური საკითხების დაგეგმვებამ ხელი უნდა შეუწყოს ტყვარჩელში, ფოთში, ქუთაისში, შულავერში დარგის ობიექტებზე შექმნილი არახელსაყრელი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას.

თ. უჩანეიშვილის გამოსვლიდან:

— ადამიანს ელეგანტურად, ლამაზად ჩაცმა სურს. და ეს ბუნებრივია. მაგრამ ყველას სურს ისიც, რომ შინ ჰქონდეს მოხერხებული, კომპაქტური ავეჯი. ეს მოითხოვს პროდუქციის ასორტიმენტის შემდგომ სრულყოფას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

მოსამზადებელი კომისიის წევრები მოწონებით შეხვდნენ ცნობას, რომ მომდინარე ხუთწლეულში ავეჯის გამოშვების მოცულობა ორმოც პროცენტზე მეტად გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მეავეჯეები ამის მიღწევას აპირებენ ძირითადად წარმოების ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის, რეკონსტრუქციის შედეგად. დარგში არსებითად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება. ხუთწლეულის დამლევისათვის მისი ზრდის ტემპი დაახლოებით 140,6 პროცენტს შეადგენს, ხოლო პროდუქციის ღირებულება 4,5 პროცენტით შემცირდება.

კომისია ასევე საგულდაგულოდ გაეცნო აგრეთვე მრეწველობის დარგების სოციალური განვითარების, მათი მუშაკების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პროგრამას, კერძოდ, დეპუტატებმა გამოიკითხეს, რა კეთდება ამ თვალსაზრისით ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში.

— მომავალ ხუთწლედში დასახულია აშენდეს 36 ათასი კვადრატული მეტრი ბინები. წელს ქუთაისში საექსპლოატაციოდ დაიქცემა 280-ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღი, გაისად კი 140 ბავშვს მიიღებს ახმეტის ბაგა-ბაღი. დაგეგმილია კიკეთის დასასვენებელი ზონის, ახალდაბის პიონერთა ბანაკის რეკონსტრუქცია. მუშაკთა შრომის დაცვისათვის გამოყოფილია ხუთ მილიონ მანეთზე მეტი. კეთილმოაწყობენ გასახდელებს, საშხაპეებს, პირადი ჰიგიენის ოთახებს.

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ლაკიამ ისარგებლა შემთხვევით და დააყენა მიუსვრელი ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მშრომელთა შვილებისათვის პიონერთა ბანაკის აშენების, აგრეთვე ქუთაისში საქალაქო სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის დაპროექტებისა და აგების საკითხები.

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშამ, დეპუტატმა ლ. ზაქაიძემ თავისი შრომითი კოლექტივის სახელით რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სთხოვა დაიბმაროს საწარმოს საჭიროებებისათვის ავტობუსის გამოყოფის საქმეში. ხოლო აგარის ჩაქრის კომბინატის მუშამ, დეპუტატმა გ. ნოხაძემ კომისიის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა დაბაში აბანოს აშენება.

ზოგიერთი საკითხი კომისიამ დგილზე გადაწყვიტა, სხვების კონტროლი დაუწესა, რაც მთავარია, არც ერთი საქმიანი, სასარგებლო წინადადება, შენიშვნა არ დარჩენილა უყურადღებოდ.

კომისიამ ცნობად მიიღო რესპუბლიკის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ინფორმაციები, წარმოდგენილი მასალებისა და დამატებების საფუძველზე დეპუტატთა ჯგუფს დაევალა მოამზადოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიისათვის დასკვნა მრეწველობის აღნიშნულ დარგებში საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის. წინასწარი განხილვის შედეგების შესახებ.

რეპორტაჟს კომისიის სხდომიდან გადმოსცემდა

ზ. გრძელიშვილი,

საქინფორმის კორ.

შრომითი სემესტრის მარშრუტები

მესამე შრომითს სემესტრს გორის რაიონის სოფელ ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ატარებენ თბილისის მე-7 და 154-ე საშუალო სკოლების უფროსკლასელები.

შრომისა და დასვენების ბანაკებს „მამულსა“ და „აისს“ მეურნეობის ხელმძღვანელობამ ახალი ორსართულიანი შენობა დაუთმო. მასპინძელთა ყურადღებით კმაყოფილნი არიან ბანაკების უფროსები, პედაგოგები მზია ბაიდოშვილი და ციალა ნოდარიშვილი. თავის მხრივ, ვარიანელებიც ემადლიერებიან თბილისელ მოსწავლეებსა და მათ აღმზრდელებს, ისინი სულ მოკლე დროში გაშინაურდნენ აქ და გულმოდგინე შრომით ისახელეს თავი. თავად განსაჯეთ: თითოეულმა უფროსკლასელმა გეგმით საშუალოდ 41 კილოგრამი ბალი უნდა მოკრიფოს, ისინი კი 60-70 კილოგრამს კრეფენ. შრომისაგან თავისუფალ დროსაც მეტად შინაარსიანად და ხალისიანად ატარებენ მოსწავლეები. ისინი განსაკუთრებით გაახარა ვარიანში და უფლისციხეში მოწყობილმა ექსკურსიებმა, დიდი ინტერესით დაათვალიერეს გორის ციხე და სტალინის სახლ-მუზეუმი.

შრომითი ბანაკის წევრებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ მშვიდობის დაცვისა და ჩერნობილის დახმარების ფონდში გადარიცხონ ერთი დღის გამომუშავებული თანხა.

სურათებზე: შრომის და დასვენების ბანაკის „მამულის“ წევრები ინგა ბურძენიძე და ნინო მიშელაძე; აისელები შესვენებისას.

ვ. გენგიურის ფოტო და ტექსტი.

პირველი ივლისიდან ძალაში შედის კანონი „უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ამის გამო ვბეჭდავთ საქართველოს სსრ პროკურორის სტატიას, რომელიც ამ კანონის განხორციელების პრობლემებს ეხება.

გზა გადაშეკეთოთ შრომელ შემოსავალს

მხოლოდ სოციალური სამართლიანობის გზით

რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით იღვწიან პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადასაწყვეტად. მათ კარგად ესმით, რომ კეთილსინდისიერი შრომა, სახალხო დოვლათის ზრდა სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების, თითოეული ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარი წყაროა. განუზომლად იზრდება პატიოსანი, დიდნაყოფიერი შრომის ავტორიტეტი.

პარტია და მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ იმისათვის, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს სოციალიზმის ძირითადი პრინციპი „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. „პარტია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — რომ გადაჭრით აღმოფხვრას უშრომელი შემოსავალი, განაწილების სოციალისტური პრინციპებიდან ყოველგვარი გადახრა“.

უშრომელი შემოსავალი საბჭოთა სინამდვილისათვის შეუთავსებელი ნეგატიური მოვლენაა, რომელიც დიდ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზიანს აყენებს საზოგადოებას. მას თავისი მიზეზები და ისტორია აქვს. იგი აღმოცენდა საზოგადოებრივი დისციპლინისა და კონტროლის შესუსტების შედეგად, რაც შეინიშნებოდა არც ისე შორეულ წარსულში.

ამ მიმართულებით ბრძოლის გააქტიურება სათავეს იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმიდან, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა განაწილებაში სოციალური სამართლიანობის განმტკიცების გეზის თანმიმდევრული განხორციელება.

სწორედ ეს მოთხოვნები დაედო საფუძვლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ მიღებულ დადგენილებას „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რასაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი.

აღნიშნული დადგენილებით, აგრეთვე ერთდროულად გამოქვეყნებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გათვალისწინებულია მოსახლეობის შემოსავლის კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების, ანგარებით დანაშაულთა ჩადენისათვის სამართლებრივი და ქონებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების, საგადასახადო პრაქტიკის სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

კანონმდებლობაში სიახლის შეტანის პრინციპული ხასიათი შრომისა და მოხმარების ზომისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებით გამოიხატება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი მიუთითებს: „ჩვენ უნდა გვქონდეს ერთი დისციპლინა ყველასათვის, ერთნაირი მოთხოვნები ყველასადმი და, რაც მთავრია, ყველას და თითოეულს კეთილდღეობა ზუსტად ესატყვისებოდეს შრომითს წვლილს, შრომის რაოდენობას და ხარისხს“.

სწორედ ამ დიდმნიშვნელოვანი მითითების რეალიზაციაა რესპუბლიკაში ზოგიერთი პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მხილება დატაცებასა და მექრთამეობაში, გამომძალვებასა და მომხვეჭელობაში, რამაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია, ხელსაყრელი ვითარება შექმნა ამ მიმართულებით ბრძოლის შემდგომი გაძლვებისა და გაღრმავებისათვის.

როგორც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა, უშრომელ შემოსავალთან და მის ხელშეშყობა გარემოებებთან ბრძოლაში აქტიურად უნდა ჩაებან პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოები, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მთელი საზოგადოება, თვისებრივად ახალ დონეზე უნდა მოეწყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაცია.

მოსახლეობის შემოსავლისადმი სახელმწიფო კონტროლის ისეთი ფორმა, როგორიცაა სახსრების მოპოვების წყაროებზე დეკლარაციის წარდგენა, ჩვენს ქვეყანაში პირველად გამოიყენება.

ჩვენმა სოციალისტურმა საზოგადოებამ, მისმა მართლწესრიგისა და კონტროლის სამსახურმა რატომ არ უნდა ჰკითხოს მოქალაქეს: „როგორია თქვენი შემოსავლის წყარო?“ ამ სიტყვებში ყველა პატიოსანი საბჭოთა ადამიანის ინტერესი იქნება გამოხატული. ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ ამ კითხვაზე მიღებული პასუხების შემოწმებისას გამოვლინდეს დატაცების, მექრთამეობისა და სხვა ანგარებითი დანაშაულის ფაქტები. ამიტომ სავსებით მართებულია ახალი კანონის მოთხოვნა: მოქალაქეები, რომლებიც დებენ ეკონომიკურ ანგარიშებს, ვალდებული არიან საფინანსო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია სახსრების მიღების წყაროების შესახებ. ეს შეიძლება გაკეთდეს აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ასევე პროკურორის მოთხოვნით.

როგორც მუშაობის პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, უშრომელი შემოსავლის ყველაზე გავრცელებული წყაროა დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება, ქურდობა და სხვა ანგარებითი დანაშაულობანი. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის გარემოება, რომ გასული წლისა და მიმდინარე წლის I კვარტალის მონაცემებით რესპუბლიკაში დატაცებებით სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალი მილიონობით მანეთს შეადგენს და მთლიანად დანაშაულით მიყენებული ზარალის 70 პროცენტზე მეტია. წინასწარი გამოძიების სტადიაში ანაზღაურებულია ამ ზარალის მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტი.

სახალხო დოვლათის ხელყოფა, უშრომელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, როგორც წესი, იქმნება იქ, სადაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფად საბჭოთა, სამართალდაცვითი, საფინანსო და სამეურნეო ორგანოები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს ეხება ადამიანთა ჯგუფს, მთლიანად კოლექტივში იქმნება არაჯანსაღი ვითარება, ფესვს იდგამს დატაცებები, მექრთამეობა და სხვა ანგარებითი ბოროტმოქმედებანი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომითი კოლექტივების როლი წვრილმან დატაცებასთან ბრძოლაში, რომელიც, მიუხედავად ასეთი უწყინარი სახელწოდებისა, უზარმაზარ ზარალს აყენებს ეკონომიკას, ხელს უწყობს უხარისხო პროდუქციის გამოშვებას. სწორედ აღნიშნულ გარემოებათა გამო კანონს ანალი ნორმით გაძლიერდა პასუხისმგებლობა წვრილმანი დატაცებისათვის, რისთვისაც გათვალისწინებულია გაზრდილი ჯარიმა და ყველა სახის პრემიისა და წახალისების ჩამორთმევა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკანონო შემოსავლის მიღების ისეთ საშიშ დანაშაულთან ბრძოლას, როგორიცაა მექრთამეობა. ამ დანაშაულის საშიშროებას სრულად ვერ წარმოვიდგენთ, თუ მის ყოველ ფაქტს სამართლებრივთან ერთად პოლიტიკურ შეფასებასაც არ მივცემთ.

როგორც ამის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა თქვა, „ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ საერთოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“.

ამ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიის სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ მკაცრ მოთხოვნებს ვუყენებთ ყველას, ვინც ჯეროვნად ვერ აფასებს მექრთამეობასთან ბრძოლის მნიშვნელობას.

თვით ცხოვრება, აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი გვარწმუნებს, რომ მომხვეჭელობის, გამდიდრების მანიით შეპყრობილი ადამიანის გათავისუფლება ამ ბაეილისაგან შეუძლებელია ყველაზე სერიოზული და გადამწყვეტი ბრძოლის გარეშე.

მიუხედავად განხორციელებული რიგი ღონისძიებებისა, ბევრგან კვლავ არის სახელმწიფო ქონების ხელყოფის გზით უშრომელი შემოსავლის მიღების ისეთი ხელშეშყობი ფაქტორები, როგორიცაა დარღვევები მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე კადრების შერჩევა-განაწილებაში, ფორმალიზმი სარეგისტრაციო სამსახურის საქმიანობაში, უწესრიგობა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში, უწყებრივი და არასაუწყებო კონტროლის ორგანიზაციაში.

პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილებები მკაცრად მოითხოვს სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის სრულყოფას. შესაბამის ორგანოებს დავალებული აქვთ გააძლიერონ კონტროლი აღრიცხვისა და ანგარიშგების სარეგისტრაციო სამსახურებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი პირველადი აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის.

მალე დაინერგება მატერიალურ ფასეულობათა პირველადი აღრიცხვის ტიპობრივი ფორმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ნედლეულის, მასალებისა და სათბობის უფრო ზუსტი აღრიცხვა.

მატერიალური ფასეულობის დატაცების, განზრახ გაფუჭების, დანაკლისის თუ დაკარგვის შემთხვევაში უფრო ხშირად იქნება გამოყენებული საცალო ფასების მრავალჯერადი ოდენობით ზარალის ანაზღაურების წესი. გაუმჯობესდება ფასეულობათა დანაკლისების ჩამოწერის პრაქტიკა, გაძლიერდება კონტროლი მისი კანონიერებისადმი: ამ წესების დარღვევისათვის გაზრდილია შესაბამის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა.

საბჭოთა ადამიანები მწვავედ განიცდიან ზომა-წონაში მოტყუებას და სხვა ანგარებითს დანაშაულობებს, რასაც ვხვდებით მომსახურების სფეროში. მათი საშიშროება მარტო ის კი არის, რომ გაეღვნას ახდენენ ადამიანის სამომხმარებლო ინტერესებზე, ოჯახის ბიუჯეტზე, იწვევენ მოსახლეობის შემოსავლის უკანონო გადანაწილებას, არამედ ისიც, რომ ბევრი არაკეთილსინდისიერი ვაჭრობის მუშაკი, დანაშაულებრივად უკავშირდება რა სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, გზას უხსნის აღრიცხვაგი პროდუქციის რეალიზაციას.

მიუხედავად კანონმდებლობის სრულყოფის სერიოზული მნიშვნელობისა, უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის გაძლიერების დიდი რეზერვია ამ მხრივ სისხლისსამართლებრივი ნორმების ეფექტიანი გამოყენება. ცნობილია, რომ დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული უშრომელი შემოსავლის შემცირებას განაპირობებს ყოველი დანაშაულის ჩადენი პირის სასჯელის გარდაუვალობის უზრუნველყოფა, ეს კი უშუალოდ არის დაკავშირებული ყველა სამართალდაცვითი ორგანოს საქმიანობის ეფექტურობის გზრდასთან.

ვაჭრობის და ზოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი მუშაკი ხშირად იღებს უშრომელ შემოსავალს საწყობებიდან, ბაზებიდან საქონლის გაყიდვის გზით. ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა აშკარად არ შეესაბამება მის ფაქტობრივ გავრცელებას.

ძალზე იშვიათად გამოიყენება 1981 წლიდან მოქმედი კანონის ნორმა მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამჯელოს მიღების შესახებ. ეს მაშინ, როცა ეს დანაშაული რესპუბლიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია.

მოქმედი კანონმდებლობა ასევე სუსტად არის გამოყენებული უშრომელი შემოსავლის მიღებასთან საკმაოდ დაკავშირებულ ისეთ გავრცელებულ დანაშაულობებთან ბრძოლაში, როგორიცაა წამატებები, უხარის ხო პროდუქციის გამოშვება, ელექტროენერგიის დატაცება და სხვა. ელექტრობრიგადა ულის მაჩვენებლების ფალსიფიკაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მოქალაქეთა საცხოვრებელ ბინებში, რის შედეგადაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა დიდ ზარალს განიცდის.

მრავალი ბოროტმოქმედი მოქალაქეთა პირადი ქონების დანაშაულებრივი ხელყოფის გზით აღწევს უშრომელი შემოსავლის მიღებას. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხება გამოუსწორებელ თაღლითებს და ქურდებს.

დიდძალ უკანონო შემოსავალს იღებენ ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაქსაღებენ, რომელთა მიმართ ამჟამად ნამდვილად შეურიგებელი ბრძოლა წარმოებს, რომელიც კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

ამას წინათ ქ. თბილისში ნარკოტიკების გასაღებისას დაიკავეს ქ. დერბენდის მცხოვრები მორბაბაევი, რომელსაც ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციით მიღებული 50 ათას მანეთზე მეტი აღმოაჩნდა. ამ საშიშ ბოროტმოქმედს, ცხადია, ჩვენს დედაქალაქში ჰყავდა ხელშემწყობნი.

დიდძალ უკანონო შემოსავალს იღებენ ექიმბაშები, რომლებიც, ეწევიან რა უკანონო ექიმობას, ხშირად ზიანს აყენებენ მოქალაქეთა ჯანმრთელობას. საგამძიებო ორგანები ძალზე იშვიათად იყენებენ საქართველოს სსრ მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც აწესებს ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. საჭიროა უფრო ქმედითად გამოვიყენოთ ამ დანაშაულთან ბრძოლაში კანონის ძალაც და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებებიც.

ახალი კანონმდებლობა ალბუბურად აყენებს შრომასა და შემოსავალთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმული ბევრი მოქალაქე თავის დამხმარე მეურნეობაში მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან, ზოგჯერ დასაშვები ზომის სათბოუნების გამოყენებით, მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს, ხშირად გაცილებით მეტს, ვინემ სახელმწიფო საწარმოში ან კოლმეურნეობაში. ამაში კანონსაწინააღმდეგო არაფერია. მაგრამ დაუშვებელია, როცა ასეთი ნაკვეთის ფლობელები არ მუშაობენ ან ფორმალურად ფორმდებიან წარმოებაში, საკარმიდამო ნაკვეთს, დადგენილი ნორმების დარღვევით მოწყობილ სათბურებს იყენებენ უკანონო გამდიდრებისათვის; პურის პროდუქტებს სისტემატურად ხმარობენ პირუტყვის გამოსაკვებად და სხვა.

ასეთი პირების მიმართ უნდა ავამოქმედოთ სამართლებრივი და სხვა ზემოქმედების საშუალებანი. ადგილობრივმა ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მინიჭებული უფლება მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის და ზემოქმედების სხვა ღონისძიების გატარების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაზრდილია პასუხისმგებლობა დაქირავებული შრომის გამოყენებით კუსტარულ-ხელოსნური რეწვისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის.

უშვებს რა დადგენილ ფარგლებში კერძო პრაქტიკას, კანონი ზემოქმედებას ახდენს შემოსავლის ოდენობაზე სათანადო საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით.

რესპუბლიკის პროკურატურაში შემოსული შეტყობინებებისა და სიგნალების შესწავლით ირკვევა, რომ ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში არის კერძო პირთა, მათ შორის თანამდებობის მუშაკთა მიერ შენიღბულ ფირმაში დაქირავებული შრომის გამოყენების ფაქტები. ისინი ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას და აქვთ რა უშრომელი შემოსავალი, მიმართავენ დაქირავებული შრომის გამოყენებას. არის უფრო საშიში ფორმებიც, როცა სამეურნეო ხელმძღვანელები აიძულებენ დაქვემდებარებულ მუშაკებს მათ საწლში შეასრულონ სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, თანაც სახელმწიფო საშენი მასალებისა და მექანიზმების გამოყენებით.

ასევე იშვიათი როდია შემთხვევები, განსაკუთრებით სოფლად, როცა პედაგოგები თავიანთ საკარიდამო ნაკვეთში ამუშავებენ მოსწავლეებს.

ჩვენ ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს მოეთხოვეთ გააძლიერონ საპროკურორო ზედამხედველობა კერძომესაკუთრულ ტენდენციებზე დაფუძნებული ამ ნეგატიური მოვლენების აღკვეთისათვის. მაგრამ ამ საქმეში სხვა ორგანოებსა და ორგანიზაციებს არანაკლები პასუხისმგებლობა აკისრიათ.

როგორც საგამძიებო პრაქტიკა ცხადყოფს, უშრომელი გამდიდრება, კერძომესაკუთრული მისწრაფებები, სერიოზულ ზიანს აყენებს რა ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეს, ხშირად გვევლინება დამნაშავეობის სათავედ.

ზოგიერთ ოჯახში შექმნილი მომხვეჭელობისა და ფუფუნების ვითარება, ფულისა და ნივთებისადმი მონობა ახალგაზრდობაში აღვივებს მომხმარებლურ, მუქთახორულ ფსიქოლოგიას. სწორად არის ნათქვამი პატიოსანი ადამიანი მხოლოდ პატიოსანი ლუკმით იზრდებაო.

სამუშაროდ, თვით ხელმძღვანელი მუშაკები ყოველთვის როდი იძლევიან შვილების სწორად აღზრდის მაგალითს, უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის ოჯახში შექმნილ ხელგაშლილობისა და უზრუნველობის ვითარებაში შვილები იზრდებიან ცინიკოსებად და ეგოისტებად, რომლებიც უპატივცემლობას იჩენენ საზოგადოების მიმართ, გამომწვევად იქცევიან, სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს.

სადავო არ უნდა იყოს, რომ, ვინც ცუდად ზრდის თავის შვილებს, ვერც კოლექტივის ხელმძღვანელად გამოდგება. ასეთ მშობლებსა და ოჯახებს კანონმაც და საზოგადოებამაც ყოველთვის მკაცრად უნდა მოჰკითხოს. აქ საქმე ეხება ჩვენს მომავალს და რაიმე კომპრომისის უფლება არა გვაქვს.

უშრომელ შემოსავალთან და მის ხელშეშყობ გარემოებებთან ბრძოლაში წამატებებს ვერ მივაღწევთ მასში საზოგადოების ფართო ფენების, მშრომელების აქტიური, შეგნებული მონაწილეობის გარეშე.

ამოცანის საბოლოოდ დაძლევისათვის მთავარია საზოგადოებრივი კონტროლის, ადამიანთა ურთიერთკონტროლის ყოველდღიური განხორციელება იმათი მოქმედებისადმი, ვინც ცდილობს მითვისოს სხვისი შრომის პროდუქტი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ამ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა წარმოებდეს ფართო საჯაროობის პირობებში. საჭიროა გაგებულად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე საშკარაოზე გამოვიტანოთ ანგარების, მომხვეჭელობის ყოველი შემთხვევა, უშრომელი შემოსავლის მიღების, მექრთამეობის, მაქინატორული მორიგების თითოეული ფაქტი, ვისაც უნდა ეხებოდეს იგი. მშრომელ მასებს უნდა ვუთხრათ სიმართლე, რაც გინდა მწარე და აღმაშფოთებელიც უნდა იყოს - იგი. უნდა ვიხელმძღვანელოთ ლენინური შეფასებით, რომ საჯაროობა მახვილია, რომელიც თვითონ კურნავს მის მიერ მიყენებულ ჭრილობას.

ეს გარემოება, რომ უშრომელ შემოსავალთან ბრძოლაში მკვეთრად გაიზარდა პროკურატურის ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა, დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ამ ორგანოთა ყოველ მუშაკს.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ამ ბრძოლაში, როგორც იტყვიან, ამინდი უნდა შექმნან და ისინი ამჟამად ბევრს აკეთებენ კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ ეა სამარცხვინოდ, კვლავ შეიმჩნევა ცალკეული შემთხვევები, როცა ამ ორგანოების თანამშრომლები თვითონ სჩადიან მ

შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლები მზად არიან

მისალები გამოცდების წინ

ნოდარ გაგუნია, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი:

— **თბილისის** კონსერვატორიაში დაძაბული პერიოდია — მთავრდება გამოსაშვები გამოცდები: 160 ქალიშვილი და ჭაბუკი მიიღეს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომს. კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაამწესეს სამუშაოდ რესპუბლიკის კულტურის დაწესებულებებში.

კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების პირველი დღე 7 ივლისია. საგამოცდო კომისიაში არიან ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწენი. წელს, მაგალითად, აბიტურიენტთა ოსტატობას შეაფასებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ანდრია ბალანჩივაძე, რომელსაც მუსიკოსთა არაერთი თაობა აღიზრდია. ასეთი სპეციალისტების კომპეტენტური აზრი, ვიმედოვნებთ, არავის ეჭვს არ გამოიწვევს.

კონსერვატორიაში მიღების ახლანდელი პირობები რამდენადმე შეცვლილია. კერძოდ, გასაუბრება, რომელიც ჩვეულებრივ ავლენდა აბიტურიენტთა ზოგად მომზადებას, ახლა ქულებით შეფასდება. სხვა სიახლე: 1-5 ივლისს კონსერვატორიის მცირე დარბაზი სარეპეტიციოდ დაეთმობათ აბიტურიენტებს. — პიანისტებსა და მევიოლინეებს. მისაღები გამოცდები მოეწყობა კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში.

საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ქალიშვილები და ჭაბუკები საკონკურსო გამოცდას ჩაბარებენ 135 ვაკანტურ ადგილზე კომპოზიციის, მუსიკათმცოდნეობის, საგუნდო-სადირიჟორო, ფორტეპიანოს, ვოკალის, საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობათა მიხედვით. ისევე როგორც შარშან, გამოყოფილია ადგილები აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის შემოქმედი ახალგაზრდობისათვის. კონსერვატორიას შეუძლია იამაყოს თავისი ინტერნაციონალური ტრადიციებით. აქ სხვადასხვა დროს ხელოვნებას იუფლებოდნენ ჩვენი ქვეყნის მრავალი ხალხის წარმომადგენლები. ეს ტრადიცია კვლავ ცოცხალია. მაგალითად, ფორტეპიანოს სპეციალობით ჩაბარებს მილენა დიაჩენკო, ჩერნობილის მაზლობლად მდებარე ქალაქ ირპენის მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული.

დასასრულ ყველა აბიტურიენტს მინდა ვუსურვო წარმატებები და აღვუთქვა: გამოცდები ჩაივლის ობიექტურად და კეთილმოსურნეობის ვითარებაში, მაქსიმალური საჯაროობის პირობებში. ყველა პირობა იქნება შექმნილი ნიჭის, მომზადების დონის სრული გამოვლენისათვის.

ზურაბ ნიჟარაძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი:

— ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში საკონკურსო გამოცდები მოეწყობა 7-25 ივლისს. აბიტურიენტებს ჩავრიცხავთ სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ფაკულტეტების დღის განყოფილებაზე.

უმაღლეს სასწავლებელში სწავლება მიმდინარეობს ბევრი სპეციალობის, მათ შორის, სახვითი ხელოვნების სრულიად ახალი მიმართულებების მიხედვით, ეს საშუალებას გვაძლევს არა მარტო შევავსოთ ქართული ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა რიგები, არამედ უზრუნველვყოთ კიდეც მხატვრთა კადრებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები.

წელს მისაღები გამოცდების ორგანიზაციაში გვაქვს სიახლენიც. ყველა სპეციალობაში, სადაც აბიტურიენტები წინათ აბარებდნენ „სსრ კავშირის ხალხთა ისტორიას“, შემოღებულია ახალი საგანი „საზოგადოებათმცოდნეობა“ (ზეპირი).

ბოლო წლების მანძილზე სპეციალურ საგნებში — ხატვაში, ფერწერაში, კომპოზიციაში, ქანდაკებაში, ხაზვაში, ინტერიერში ნიშნები იწერებოდა ნამუშევრების წინასწარ დაუფიქრავად. ახლა მეტი ობიექტურობისათვის გამომცდელები ნიშნებს დასვამენ „ბრმად“. ისე რომ არ ეცოდინებათ, ვის ეკუთვნის ეს ნამუშევარი. სხვათა შორის, მაქსიმალურად შევამცირეთ გამომცდელთა რიცხვი.

კიდევ ერთი სიახლე: ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდის ნაცვლად შემოღებულია წერითი გამოცდა. არქიტექტურის ფაკულტეტზე გაუქმდა გამოცდა ფიზიკაში. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის გრაფიკის განყოფილებაზე და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე აბიტურიენტები ნახატს აკვარელით, გუაშით, ტემპერით შეასრულებენ ზეთის საღებავის ნაცვლად. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალობაზე შემოღებულია გამოცდა უცხო ენაში. წელს ამ სპეციალობებზე საგამოცდო კონკურსში დაშვებული იქნებიან ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც აქვთ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

მისაღები გამოცდების წინ ინსტიტუტში მოეწყო ღია კარის დღე. თვალსაჩინო ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები ესაუბრებოდნენ აბიტურიენტებს თავიანთ პროფესიებზე, აძლევდნენ პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას. უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს პასუხსაგები კამპანია მაღალ დონეზე მოაწყოს.

ეთერ გუგუშვილი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი:

— წელს ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულები შეემატებიან ბათუმის, ჭიათურისა და გორის თეატრებს, აგრეთვე თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დასს. შინ ბრუნდებიან თურქმენი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ხუთი წლის სწავლის შემდეგ შეემატებიან აშხაბადის, მომქმე რესპუბლიკის სხვა ქალაქების შემოქმედებითს კოლექტივებს. წელს მოეწყო საეცალურად ქუთაისის, ცხინვალისა და ზუგდიდისათვის მომზადებული თეატრმცოდნეების, კინოოპერატორების, აგრეთვე თბილისის, ბათუმისა და რუსთავის თოჯინების თეატრებისათვის რეჟისორების პირველი გამოშვება. კულტპროფსაგანმანათლებლო ფაკულტეტის ყველა კურსდამთავრებული გამწესებულია საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ახალგაზრდა მსახიობთა ერთი ნაწილი იმუშავებს თეატრებში, მეორე — კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

წინა წლებში ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ჯგუფისაგან არაერთხელ შექმნილა დამოუკიდებელი თეატრი. ასეთი იყო თავის დროზე ახალციხის თეატრი, მეტეხის ახალგაზრდული თეატრი, კინომსახიობის თეატრი; გამორიცხული არ არის, რომ წელსაც მსახიობთა ჯგუფი, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ გ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით, საფუძველს ჩაუყრის თეატრ-სტუდიას თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე სცენაზე. ეს უკვე სავსებით ჩამოყალიბებული თანამოაზრე მსახიობთა ანსამბლია, რომელიც ჯაფიოდ, ტემპერამენტიანად თამაშობს. თავისი ორი საუკეთესო სპექტაკლი „ანა ფრანკის დღიური“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ ჩვენმა ახალგაზრდებმა ამა წლისთან დიდი წარმატებით უჩვენეს მოსკოვში. ამითი გამოსვლა გადაიღო ცენტრალურმა ტელევიზიამ.

[illegible] ახალი [illegible] — [illegible] [illegible] [illegible]

საკავშირო ჯილდოები კულტურის კერებს

სასიამოვნო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის პრეზიდიუმმა, შეჯაჯმა რა ჩვენი ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის გაწეული საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1985 წლის შედეგები, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ცენტრალური კომისიის შუამდგომლობით თავისი მაჩვენებლებისათვის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით ზედიზედ უკვე მესამედ დაჯილდოვა **ხობის რაიონის** კულტურის სახლი.

უკანასკნელ წლებში ხობის რაიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემდგომი აღმავლობის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებათა საქმიანობა, ნაყოფიერად მუშაობს რაიონის კულტურულ-სპორტული კომპლექსი, რაც საუკეთესო მაგალითია განსხვავებული ხასიათისა და სხვადასხვა უწყების ორგანიზაცია-დაწესებულებათა ერთობლივი საქმიანობის ახალი ფორმისა.

მეორე ხარისხის დიპლომი ერგო **გორის რაიონის** სოფელ **მეჯვრისხევის** კულტურის სახლს, რომელიც ნაყოფიერად და მრავალმხრივ წარმართავს თავის საქმიანობას. იგი სოფლის, მშრომელთა კულტურული დასვენების ერთ-ერთი ძირითადი კერაა, აქ შექმნილია ახალგაზრდა დედათა ინტერესის კლუბი, ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადის წევრებს ხშირად შეხვდებით საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებზე; ყოველ ასეთ ღონისძიებას მათგან 100-150 კაცი ემსახურება.

დაჯილდოებულთა შორისაა გამოჩენილი საბჭოთა მთასვლელის, „კლდის ვეფხვად“ წოდებული **მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმი** მესტიაში. თავისი არსებობის ექვსი წლის მანძილზე სახლ-მუზეუმი გადაიქცა საბჭოთა ალპინიზმის პროპაგანდის მძლავრ კერად. იქ მოწყობილი მდიდარი მემორიალური მასალებით სავსე ექსპოზიციები, სრულად ასახავს ალპინიზმის განვითარების ისტორიას ჩვენს ქვეყანაში. მუზეუმისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების თაოსნობით მიხეილის ხსოვნის აღსანიშნავად აქ ტრადიციულად იმართება სახალხო დღესასწაული, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყნის ალპინისტური სამყაროს გარდა, ესწრებიან საზღვარგარეთელი სტუმრებიც.

რესპუბლიკის კულტურისა და დასვენების პარკების შორის საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის **გამარჯვების კულტურისა და დასვენების პარკის** კოლექტივი, რომლის მთელი მუშაობა მიმართული იყო საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა მაღალიდეურად მოწყობისათვის. შარშან აქ ექვსი სახალხო სეირნობა მიეძღვნა დიდი გამარჯვების დღესასწაულს. იმატა პარკში მომსვლელთა რიცხვმა, ფულადმა შემოსავალმა, წრეთა რიცხვმა, მომძლავრდა პარკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა სამავშვო მოედანი, რამდენიმე სპორტული მოედანი, შეძენილია 8 ახალი ატრაქციონი, რეკონსტრუირებულია შინშოუსველი ჯარისკაცის საფლავი და სხვა.

საკავშირო სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოებულთა შორის არიან რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დარგის ღვაწლმოსილი და ენერგიული მუშაკები, მიხეილ ვადაკორია — ეგნატე ნინოშვილის მემორიალური მუზეუმის დირექტორი, რომელიც აგერ უკვე მეოთხე თვეული წელი ხდება, რაც დიდის რუდუნებითა და სიყვარულით ემსახურება ამ საქმეს.

დაფასება და აღიარება არც ონის სახალხო თეატრის რეჟისორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს გიგა ჯაფარიძეს აკლია, რომლის დადგმულმა სპექტაკლებმა დიდი სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს; ბორჯომის რაიონული კულტურის სახლის დირექტორი ბიძინა ხუციშვილი ოთხი ათეული წელია კულტურულ-საგანმანათლებლო დარგში მუშაობს. იგი დაჯილდოვდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამკერდე ნიშნით „წარჩინებული მუშაობისათვის“.

ათი წელია მუშაობს თავის სოფელში ქობულეთის რაიონის სოფელ სახალვაშოს კლუბის გამგედ მზევინარ გორგილაძე, მხატვრული თვითმოქმედების წრეები, საინტერესო საღამოები, შეხვედრები ფერმებში, ჩაის პლანტაციებში... მუშაობის ახალი ფორმების ძიებაშია ენერგიული და სოფლისგან დაფასებული ქალი.

საინტერესოდ წარმართავს საქმიანობას ცხინვალის რაიონული კულტურის სახლის დირექტორი ბესარიონ დოღუზოვი, რომელმაც მეთოდისტობით დაიწყო და ახლა რაიონული კულტურის სახლს უნარიანად ხელმძღვანელობს.

საკავშირო ჯილდო მეტს ავალებს რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებს, რათა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახლებურად გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა.

მ. ჯოლია,

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრის დირექტორის მოადგილე.

არდადეგები ცხვარიჭამიაში...

საინტერესოდ ატარებენ არდადეგებს უკრაინელი მოსწავლეები, რომლებიც ცხვარიჭამიაში ისვენებენ. აქ ხშირად ეწყობა საინტერესო ექსკურსიები თვალწარმტაც მიდამოებში, სპორტული ასპარეზობები, შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან.

...ამ დღეს ნორჩი მოჭადრაკეები სამუდამოდ დაიხსომებენ. მათთან სტუმრად ჩამოვიდა სახელგანთქმული მოჭადრაკე, არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი. საინტერესოდ მიმდინარეობდა ბრძოლა ჭადრაკის დაფებზე ერთდროული თამაშის სეანსის დროს, მართალია, ვერც ერთმა ნორჩმა მონაწილემ ვერ შეძლო თავის აქტივში სანუკვარი ქულის ჩაწერა, მაგრამ ასეთი საჭადრაკო გაკვეთილის შედეგად შეძენილი გამოცდილება ძალზე ძვირად ფასობს.

სურათზე: სლას აკეთებს საერთაშორისო დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

გ. ბაბიაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კიონერული ზაფხული

მშოგლიური სითბოთი

წიგნი, როგორც ცნობილია, საუკეთესო საჩუქარია და ეს საჩუქარი ერთბაშად სამი ათასმა უკრაინელმა მოსწავლემ მიიღო, რომლებიც ზაფხულის არდადეგებს ცხვარიჭამიის პიონერთა ბანაკებში ატარებენ. გასულ შაბათს ბანაკებს „საქწიგნის“ წარმომადგენლები ესტუმრნენ და ბავშვებს გადასცეს ქართველ ლიტერატორთა რუსულ ენაზე გმოცემული საუკეთესო ნაწარმოებები.

ქართველ პროზაიკოსთა და პოეტთა წიგნები უკრაინელ ბავშვებს გადასცეს მწერალმა, შორიული ნაოსნობის კაპიტანმა ვახტანგ ბარათაშვილმა, პოეტმა ნელი გაბრიჩიძემ, კრიტიკოსმა ჯუმბერ თითმერიამ, სხვებმა. მთილაპარაკეს ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობისა და ძმობაზე, საუკუნეებში რომ აქვს გადგმული ფესვი და კვლავ ახალი ძალით გამოვლინდა ამ დღეებში, როცა მთელი საბჭოეთი დაეხმარა უკრაინელებს, რომელთაც თავს დაატყდა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი უბედურება.

— მშობლიური სითბოთი შეგვხვდა საქართველო, — თქვა კიევის ოლქის ქალაქ ვიშნევოეს საშუალო სკოლის მოსწავლემ კოლია კუნცმამ. — ცხვარიჭამიაში ზრუნვასა და ყურადღებას არ გვაკლებენ.

— მოწყენისათვის დრო აღარ გვრჩება, — განაგრძო საუბარი მისმა თანამემამულემ ლარისა ვასიუტინსკაიამ. — ჩვენთან ჩამოდიან თქვენი რესპუბლიკის საუკეთესო მხატვრული კოლექტივების მსახიობები, საეკსკურსიოდ ვიყავით საქართველოს ბევრ ღირსშესანიშნავ ადგილას. გმადლობთ (საქინფორმი).

ჩერნობილელთა დახმარების ფონდში

მარნეული. (საკ. კორ.) წლის დასაწყისიდანვე დამკვრელურად შრომობენ „მარნეულგაზის“ ტრესტის კოლექტივის წევრები, პირნათლად ასრულებენ საწარმოო გეგმებს და სოციალისტურ ვალდებულებებს. სწორედ მუყაითი შრომის ლოგიკური შედეგია დარგის საწარმოთა შორის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით დაკავებული მეორე ადგილი, რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

დროშის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე პირველი გამოვიდა ელექტროშემდუღებელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ჯ. ცხადიაშვილი. მან თქვა:

— კეთილსინდისიერი, უპრეტენზიო შრომის ესოდენა დაფასებამ ჯილდომ, ცხადია, ყველანი გაგვახარა, ახალი წარმატებებისათვის განგაწყო. ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ნებისმიერი ერის, თითოეული შრომითი კოლექტივის წარმატება საერთო სახარული, ქვეყნის საკეთილდღეო საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია, ისევე როგორც ერთის სატკივარი საერთო საწუხარია. ამიტომ წინადადება შემომაქვს მთელი პრემია — 3.375 მანეთი უკლებლივ ჩაერიცხოთ ჩერნობილელთა დახმარების ფონდში. ყველას გვატკენა გული ამ მოვლენამ უბედურებამ. თანაგრძნობას ვუცხადებთ დაზარალებულ ადამიანებს, სულითა და გულით მათთან ვართ. გვჯერა, რომ ჩერნობილი მალე მოიშუშებს ჭრილობას. ამის თავმდებია მთელი საბჭოთა ხალხის გულწრფელი მხარდაჭერა და თანადგომა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას. გარდა ამისა ტრესტის მმართველმა ტ. მახარაძემ, მთავარმა ინჟინერმა შ. გამყრელიძემ, განყოფილების უფროსმა ს. ხაჩატურიანმა, მთავარმა ბუღალტერმა ო. ბუდაღოვამ, ოსტატმა ა. ალეკფეროვმა კრებაზე განაცხადეს, რომ თითო თვის ხელფასს გადარიცხავენ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგად დაზარალებული ადამიანების დახმარების ფონდში.

ჩერნობილელთა დახმარების ფონდში დიდძალი თანხა გადარიცხეს ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმაც.

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ

მᲐᲓᲚᲘᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ რაიონში, რუსთავიდან ხუთიოდე კილომეტრის მაძღილზე, მეურნეობის დირექტორის ავთანდილ მარგიანის ინიციატივითა და დაუღალავი შრომით, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, აშენდა ახალი სოფელი, რომელსაც მშენებლებმა ნაგები უწოდეს. სოფლის მშვენებაა დიდი სვანური კოშკი, რომლის „ნათლობასაც“ ახლახან მრავალი სტუმარი დაესწრო.

სვანური კოშკები — ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუშები — ჭალარა წარსულის ცოცხალი ძეგლებია. ამ ტიპის ციხე-სიმაგრეს ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით დასაბამიდან მურყვამი ერქვა. ეს სიტყვა დღეს მხოლოდ სვახეთში შემორჩენილი. სვანთა ნაგები მურყვამები დღემდე ხიბლავენ მახლობელსა თუ შორეულს. ახლა მას სხვაგანაც აშენებენ. თბილისში ვაკის ღია მუზეუმს შოსა და ლაზათს აძლევს სვანური კოშკი. შესანიშნავი მურყვამით და საცხოვრისით დაამშვენეს ბორის კახიანმა და მისმა ბიჭებმა ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირული ქალაქი. პატარა მურყვამი ამშვენებს ნარიყალას სანაპიროსაც, სადაც ყოველწლიურად თბილისობა იმართება... კიდევ ერთი, ამჯერად ყველაზე მაღალი მურყვამი ააგეს ახალმოსახლე სვანებმა რუსთავის ველზე.

ზურმუხტისფრად აქოჩრილ ხეებს შორის კოხტად ჩამწკრივებულა ორმოცამდე კომლის ახალი სამოსახლოები. სოფლის შუაგულში კი აღმართულია არა რაიმე ბუტაფორია, არამედ ნამდვილი სვახური კოშკი, ოვასართულიანი, ოცდაათ მეტრამდე სიმაღლისა, თავისი სათოფურებითა და ქონგურებით, შესასვლელი პორტიკითა და დიდი საკლუბო დარბაზით, რომლის სცენაზეც თუნდაც შექსპირის ტრაგედიას გაითამაშებ. ამჯერად კი სვან მოძღვრალთა და მოეკავშვეთა მშვენიერ ტახსაცმელში გამოწყობილი გუნდის მცირე კონცერტი გვიჩვენეს, გივი მარგიანის მეშვეობით რომ ჩამოუყალიბებია მთელი ამ კომძალექსის მესვეურს, მეურნეობის დირექტორს, დაუცხრომელ მუშაკსა და კულტურის დამფასებელს ავთანდილ მარგიანს. ჩვენ მოგვიხმობდა მისმა საქმემ, ჩანაფიქრმა, გულითადობამ, განზრახვამ, რომ უწინ გადამთიელთაგან გავერანებული ნაოხარ და მერე მიტოვებულ მიწაზე ააღორძინოს ახალი სიცოცხლე, ააშენოს ღონიერი სოფელი, კულტურისა და შრომის კიდევ ერთი კერა, თანაც დაამშვენოს ისეთი ძეგლებით, როგორიც არის სვანური კოშკი. არ მახსოვს, რამდენი ათასი ტონა ქვა დამისახელეს, აქ რომ ჩვენს ვაჟკაცებს შორიდან მოუხდათ საკუთარი სურვილით, უსასყიდლოდ, მერე დუღაბი შეეკრავთ, უშენებიათ, ისე, რომ გეგმებიც გადაჭარბებით შეესრულებიათ.

დიდხანს ქუდდა მერვე სართულზე, „მუზეების სავანეში“, პირდაპირ ციდან სარკმელში შემოჭრილ ძზის სხივთა ჭალში „ლილე“, „გაულ გავხე“, „რიჟო“...

— ეს იდეა ბორის კახიანს ეკუთვნის, — გვეუბნება ავთანდილი. ის ბიჭი ჩემ გვერდით, ჩემს ხელში გაიზარდა, მისი ყოველი ჩანაფიქრი ღირსია ხორცშესხმისა, და მეც შევეცადე, რომ ეს კოშკი მის ძეგლად აგებულიყო. ჯერ კიდევ ბევრი საქმეა, წინ დიდი ჯაფაა, ამ ველზე კიდევ ორმოცდაათამდე კომლი უნდა ჩავასახლო. თანაც ისე, რომ სვანეთში არც ერთი ბუდე არ დაინგრეს. მრავალშვილიანებზე გვაქვს ორიენტაცია. დაე ვიყოთ აქაც, ისევე მოყვარეც გვიმრავლოს და ჩვენი მიწაც დავასაქმოთ; მეტისმეტად დიდხანს იყო უქმად ეს მიწა...

— მრავალი სტუმარი გვწვევია მშენებლობის დროს და შემდეგაც რუსეთიდან, სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან, უცხოეთიდან. მათი კმაყოფილება, მათი ღიმილი, მათი სიტყვა — „ეს ხომ უნიკალურია“ ყოველ გასამრჯელოზე ძვირფასია, — ამბობს ავთანდილი.

კარგი იქნება, რომ აქ ერთერთ სართულზე, ფართო დარბაზში გიამართოს ბიბლიოთეკა-მუზეუმი წარწერიანი საკუთარი წიგნების ფონდით, რაზეც იმედი გვაქვს, ყველა შემოქმედი საქმით გამოგვეხმაურება.

გვიხარია, მტრის ნათარეშებ მიწას მამულიშვილთა ამაგის კვალი რომ დაეტყო, მოძმემ და მოყვარემ რომ გაიხარა...

...ჩვენს სიახლოვეს სვან ბიჭს ხელებს ულოკავდა დიდი მურა დათვი, რომელიც სვანეთიდან ჩამოუყვანიათ. აქ განუზრახავთ სხვა ოშვიათი ცხოველების მოშრავლებაც.

ბევრი კეთილი განზრახვა ასრულებოდეს რუსთავის ველზე გაშლილ პატარა სვანეთის მცხოვრებლებს!

აკაკი ბელოვანი.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

შუაგულში კი აღმართულია არა რაიმე ბუტაფორია, არამედ ნამდვილი სვახური კოშკი, ოვასართულიანი, ოცდაათ მეტრამდე სიმაღლისა, თავისი სათოფურებითა და ქონგურებით, შესასვლელი პორტიკითა და დიდი საკლუბო დარბაზით, რომლის სცენაზეც თუნდაც შექსპირის ტრაგედიას გაითამაშებ. ამჯერად კი სვან მოძღვრალთა და მოეკავშვეთა მშვენიერ ტახსაცმელში გამოწყობილი გუნდის მცირე კონცერტი გვიჩვენეს, გივი მარგიანის მეშვეობით რომ ჩამოუყალიბებია მთელი ამ კომძალექსის მესვეურს, მეურნეობის დირექტორს, დაუცხრომელ მუშაკსა და კულტურის დამფასებელს ავთანდილ მარგიანს. ჩვენ მოგვიხმობდა მისმა საქმემ, ჩანაფიქრმა, გულითადობამ, განზრახვამ, რომ უწინ გადამთიელთაგან გავერანებულ ნაოხარ და მერე მიტოვებულ მიწაზე ააღორძინოს ახალი სიცოცხლე, ააშენოს ღონიერი სოფელი, კულტურისა და შრომის კიდევ ერთი კერა, თანაც დაამშვენოს ისეთი ძეგლებით, როგორიც არის სვანური კოშკი. არ მახსოვს, რამდენი ათასი ტონა ქვა დამისახელეს, აქ რომ ჩვენს ვაჟკაცებს შორიდან მოუხდავთ საკუთარი სურვილით, უსასყიდლოდ, მერე დუღაბი შეეკრავთ, უშენებიათ, ისე, რომ გეგმებიც გადაჭარბებით შეესრულებიათ.

დიდხანს ქუდდა მერვე სართულზე, „მუზეების სავანეში“, ნამუშევრის (დ. სახვაძე — „სპორტსმენი“, ნ. ფოფხაძე — „დელა“, ნ. მიქელაძე — „მეგობრები“, ზ. ჯალიაშვილი — „მწყემსი“, ვ. ჯიქია — „ცეკვა ჰავანა“, ი. გველესიანი — „ბიჭი ფლეიტით“; მ. ჩალაძე — „ბიჭი მამლით“; გ. ბაინდურაშვილი — „ბიჭი მარიონეტით“, თ. ხინჩაგაშვილი — „მოცურავე“) შაღალი შეფასება.

დიზგური ეროვიკიდან დიდი ინტერესი გამოიწვია ს. ჰუსეინოვის („ჩემი აზერბაიჯანი“), ვ. გოგაძისა („წელიწადი და ადამიანი“) და დ. ვოუბას („ჩემი თანამედროვე“) ნამუშევრებმა. აგრეთვე გ. ჩიკვაიძის ილუსტრაციებმა ო. ჭილაძის რომანისათვის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

კომისიის ყურადღება მიიპყრო და მაღალი შეფასება დაიმსახურეს მ. მეძმარიაშვილისა („დედობა“) და ა. ნარიმანბეკოვას („აივანზე“) ნამუშევრებმა.

კურსდამთავრებულთა პირველი წარმატება მიიღოცა და შემდგომი შემოქმედებითი მიღწევები უსურვა სამხატვრო აკადემიის რექტორმა, პროფესორმა ზ. ნიკარაძემ.

ს. ნაციაშვილი.

სურათებზე: ნ. მიქელაძის „მეგობრები“ და ზ. ჯალიაშვილის „მწყემსი“.

გზა მაღალი

ხელოვნებისაკენ

თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე ოთხ დღეს მიმდინარეობდა სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრების დაცვა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (თავმჯდომარე — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი ვ. ციგალი) მოწონება ხვდათ დაზგური გრაფიკისა და ქანდაკების განყოფილების დიპლომანტთა ნამუშევრებს.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ქანდაკების ჟანრში ბოლო დროს სერიოზული მიღწევებია და ამ წინსვლაზევე მიგვანიშნებს ქანდაკების განყოფილებისგან წარმოდგენილი თერთმეტიდან ცხრა სადიპლომო

ნამუშევრის (დ. სახვაძე — „სპორტსმენი“, ნ. ფოფხაძე — „დელა“, ნ. მიქელაძე — „მეგობრები“, ზ. ჯალიაშვილი — „მწყემსი“, ვ. ჯიქია — „ცეკვა ჰავანა“, ი. გველესიანი — „ბიჭი ფლეიტით“; მ. ჩალაძე — „ბიჭი მამლით“; გ. ბაინდურაშვილი — „ბიჭი მარიონეტით“, თ. ხინჩაგაშვილი — „მოცურავე“) შაღალი შეფასება.

დიზგური ეროვიკიდან დიდი ინტერესი გამოიწვია ს. ჰუსეინოვის („ჩემი აზერბაიჯანი“), ვ. გოგაძისა („წელიწადი და ადამიანი“) და დ. ვოუბას („ჩემი თანამედროვე“) ნამუშევრებმა. აგრეთვე გ. ჩიკვაიძის ილუსტრაციებმა ო. ჭილაძის რომანისათვის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

კომისიის ყურადღება მიიპყრო და მაღალი შეფასება დაიმსახურეს მ. მეძმარიაშვილისა („დედობა“) და ა. ნარიმანბეკოვას („აივანზე“) ნამუშევრებმა.

კურსდამთავრებულთა პირველი წარმატება მიიღოცა და შემდგომი შემოქმედებითი მიღწევები უსურვა სამხატვრო აკადემიის რექტორმა, პროფესორმა ზ. ნიკარაძემ.

ს. ნაციაშვილი.

სურათებზე: ნ. მიქელაძის „მეგობრები“ და ზ. ჯალიაშვილის „მწყემსი“.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲐᲖᲔ

ᲕᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ „ᲫᲕᲔᲚᲘ“ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

გთავაზობთ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩების შედეგებს:

მატჩი №49. 25. VI. გვადალახარა. გფრ-საფრანგეთი — 2:0 (1:0).

მატჩი №50. 25. VI. მეხიკო. არგენტინა-ბელგია — 2:0 (0:0).

ნახევარფინალური მატჩების შედეგებზე გვესაუბრება სპორტის დამსახურებული ოსტატი **ბენი ჩოხელი.**

— ბუნებრივია, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატჩს ყველა დიდი ინტერესით ელოდა. ბევრს უთუოდ ახსენდება ესპანეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ის დღე, როცა, ისევე როგორც ახლა, სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს ნახევარფინალში. მაშინ ფრანგები ძალიან ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. გაიხსენეთ, მაშინდელი მატჩის დამატებითი დროის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ფრანგები 2 ბურთით იყვნენ დაწინაურებული, მაგრამ ეს უპირატესობა ბოლომდე ვერ შინარჩუნეს. შეხვედრის შემდგომი პენალტების სერიაში უფრო ზუსტნი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ და ფრანგები ნახევარფინალს გამოეთიშნენ.

ამ ჩემპიონატზეც თავდაპირველად მოვლენათა მსვლელობა ფრანგების სასარგებლოდ წარმართა: ნახევარფინალის გზაზე ნათ ერთობ ძლიერი კოლექტივების წინააღმდეგობა დაძლიეს — დაამარცხეს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები—იტალიელები და ბრაზილიელები. დასავლეთგერმანელთა მიღწევები როგორც ჯგუფურ ტურნირში, ისე მას შემდეგაც გაცილებით მოკრძალებული იყო. სამე მარტო მატჩების შედეგებში როდია. გერმანელთათვის ადრე დამახასიათებელი მწყობრი და საიმედო თამაში დაცვაში, შეტევაში მობილურობა ამჯერად ისეთი მაღალი არ იყო, როგორიც ადრე. მაგრამ ასეთი ვითარება მხოლოდ ნახევარფინალამდე გაგრძელდა. თვით ნახევარფინალური მატჩი კი დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ წარმართეს და სწორედ აქ ეტაპზე გამოაჩინეს ყველა ის კოზირი, რომლებიც მათ „შავი დღისთვის“ ჰქონდათ შემონახული. სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ ისიც, რომ შეხვედრის დასაწყისი გერმანელთათვის საუსურველად განვითარდა. ფრანგების გამოცდილი მეკარე ბატსი, რომელმაც წინა ხუთ მატჩში საგსებით დამაჯერებლად ითამაშა (თანაშედან მხოლოდ 2 ბურთი გაუშვა) და არაერთხელ იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან, ამჯერად შეცდა, ვერ შეაჩერა გერმანელთა მცველის ბრემეს მიერ შორიდან ძლიერად დარტყმული ბურთი.

როგორც იცით, სწორედ ამ გოლმა განაპირობა მეტოქეთა წარმატება. ფრანგები ნიფათის წინაშე აღმოჩნდნენ და შეხვედრის მსვლელობისას იძულებული იყვნენ თამაშის თავდაპირველ გეგმაში კორექტივები შეეტანათ, მაგრამ მათ მაინც ვერ აწყვეს კომბინაციური მოქმედება: ვერც პლატინიმ, ვერც სხვა რომელიმე მოთამაშემ ვერ შეძლო გუნდის აყოლიება. მეტოქეები კი, რომელთაც ფრანგებისგან მატჩის დასაწყისშივე გაშვებული გოლის სახით „საჩუქარი“ მიიღეს, ათამაშდნენ მსუბუქად და გაშლილი ფრონტით. მათ უკვე ყველაფერი ეხერხებოდათ. დასავლეთ გერმანიის ნაკრების კაპიტანი რუმენიგე, რომელიც მანამდე სულ ჩრდილში და უმეტესწილად თადარიგის მოთამაშე იყო, ამჯერად გუნდს ნამდვილ ლიდერად მოევლინა.

შესვენების შემდეგ რუმენიგემ ერთხანს კიდევ ითამაშა და როცა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბეკენბაუერმა იგი შეცვალა, გუნდის თამაშის სიმწყობრემ და შემტევმა მიმართულებამ ადრეული პეწი დაკარგა. თუმცა, ამის მიზეზი სხვაც იყო. ფრანგები, რომლებიც თითქმის მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში რაღაც გაურკვეველ ბურუსში აღმოჩნდნენ, მეორე ტაიმში შეეცადნენ ინიციატივის დაუფლებას: თამაშში შემოიყვანეს დასვენებული ძალები, მაგრამ შუმახერის კარის აღება მაინც ვერ შეძლეს. ერთი სიტყვით, ფრანგებს იღბალმა ზურგი შეაქცია: ხან იყო და ფორვარდებმა კარის აღების შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს (გაიხსენეთ სტოპორა), ხან მეტოქეთა მეკარე აღმოჩნდა ბოროდების სიმაღლეზე, ხანაც დასავლეთ გერმანიის ნაკრების მცველები აბარხებდნენ ფრანგების თამაშგარე მდგომარეობაში მოქცევას.

რაც ნაკლები დრო რჩებოდა, მით უფრო გაიფთრებით უტევდნენ ფრანგები გერმანელთა კარს და სწორედ ამან განაპირობა... გერმანელთა კიდევ ერთი ბურთით დაწინაურება. თუმცა, ბოლო წამებზე ფრანგების კარში მიღებული ეს მეორე ბურთი უკვე არაფერს წყვეტდა.

მეორე ნახევარფინალური მატჩის მოსალოდნელი შედეგი განსაკუთრებულ დისკუსიას იწვევდა. უმრავლესობა თვლიდა, რომ მარადონას გუნდად მონათლულ არგენტინის ნაკრებს ბელგიელებთან უნდა გაემარჯვნა. ბელგიელებმა ვერა და ვერ შეძლეს არგენტინელთა ლიდერის მარადონას „ჩაკეტვა“. ერთი სიტყვით, მათთვის ეს ალიბანა გადაუწყვეტელი აღმოჩნდა. მარადონამ, ისევე როგორც ინგლისელების, ბელგიელების კარშიც 2 გოლი გაიტანა. ამ ფეხბურთელის მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუნდში ექსტრა-კლასის მოთამაშის ყოლას. ისეთმა გამოჩენილმა სპორტსმენმაც კი, როგორიც პლატინია და რომელსაც არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი ძალა, მექსიკის ჩემპიონატზე მთელი სისრულით ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი და ცხადია, ამან გარკვეულწილად დაქვეითა საფრანგეთის ნაკრების საბოლოო შედეგი. არგენტინის ნაკრების მიერ მეოთხედფინალში და ნახევარფინალში მოპოვებული გამარჯვებები კი უწინარესად უნდა მიეკუთვნოს ამ გუნდის ლიდერის პირად ღირსებებს.

ორიოდე დღის წინ იყო კამათი იმის თაობაზე, ნიიღებს თუ არა მსოფლიო ფეხბურთი ახალ ჩემპიონს. ორი ნახევარფინალისტი — საფრანგეთისა და ბელგიის ნაკრები გუნდები ადრე მსოფლიო ჩემპიონის წოდებას არ ფლობდნენ და ახლაც თავიანთი პატივმოყვარული იმედები მხოლოდ 4 წლის შემდგომ მსოფლიო ჩემპიონატისათვის უნდა გადასდონ. ახლა კი ოქროს მედლებს სწორედ „ძველი“ ჩემპიონები — დასავლეთ გერმანიისა და არგენტინის ნაკრები გუნდები გაითამაშებენ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ცურვა. ქალაქ ორლანდოში მიმდინარე აშშ-ს ჩემპიონატზე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა: თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში მსოფლიო მიღწევა გაუმჯობესა მ. ბითნდემ. მისი სარეკორდო მაჩვენებელია 48,74 წამი.

სროლა. მოსკოვში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა თბილისელმა **ნინო სალუქვაძემ.** ამჯერად მან ოლიმპიურ 3ბ-5 ვარჯიშში 600 შესაძლებლობიდან 588 ქულა დააგროვა და მესამე ადგილზე გამოვიდა. ამ სახეობაში უძლიერესი იყო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ტატიანა ტურიშევა.

კარიბის ასპარეზობანი. ქალაქ სანტიაგო-დე-ლოს-კაბალიეროში (დომინიკანელთა რესპუბლიკა) საზეიმოდ გაიხსნა ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ქვეყნების სპორტსმენთა XV ასპარეზობანი. ამ რეგიონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ 27 ქვეყნის სპორტსმენები, მათ შორის კუბისა და ნიკარაგუას წარმომადგენლები. ასპარეზობის გახსნის ცერემონიალზე ესწრებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი.

ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირზე წარმატებითი სტარტი აიღო ლვოველმა ლარისა სავჩენკომ. პირველ წრეში მან დაამარცხა სტეფანია რეიე (აშშ) — 1:6, 6:4, 8:6. რაც შეეხება მოსკოველ სვეტლანა პარხომენკოს, მან სასტარტო შეხვედრა წაგო ელენ ბურგნთან (აშშ) — 0:6, 2:6.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პირს, რომლ